

საბჭოთაო



წელი 3 მან.

პარასკევი, ივლისის 23 1920 წ.

რეპროდუქცია

შთავრობის მოახვე, სოციალური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით) საბჭოთაო რესპუბლიკა

საქონლის სახელწოდებების შენახვის სახელმწიფო უნივერსიტეტის განყოფილება

რომელთაც უნდა იცოდნენ ქართლის გარდა ორი ევროპული ან კლასიკური ენები და ამასთანავე უნდა ჰქონდეთ კარგი და გარკვეული ხელი. მსურველთ უნდა წარმოადგინონ გამგებობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 25-მდე. თხოვნა დაწერილი უნდა იყოს საკუთარს ხელით ქართულად და დართული უნდა ჰქონდეს წერის ნიმუშები სხვა ენებზე. პირების გაგება შეიძლება უნივერსიტეტში წიგნთ-საცავის გამგის უფროსს თანაშემწესთან. სახელმწიფო უნივერსიტეტის განყოფილება. 1936. 1-1

რეპროდუქციის განყოფილება

Table with 4 columns: თანამდებობის სახელწოდება, თანამდებობის პირთა რიცხვი, თვიური ჯამური თვითუფლები, წლიური ჯამური თვითუფლები, წლიური ჯამური ყველას.

Table with 4 columns: თანამდებობის სახელწოდება, თანამდებობის პირთა რიცხვი, თვიური ჯამური თვითუფლები, წლიური ჯამური თვითუფლები, წლიური ჯამური ყველას.

1920 წ. ივლისის 7-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ად. ლომთათიძე. რესპუბლიკის შთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანიანი.

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა. 13 ივლისი, 1920 წ., № 269. დაინიშნა ფოთის საპროკურორის ექიმის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად ნიკოლოზ ადამის სე ტერნიკოვსკი ამა წლის მაისის 1-დან. 13 ივლისი, 1920 წ., № 270. შევსებულია მიეცეს ავთომატობის გამო მე-5-ე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელს ილია გრიგორის ძე ქიქოძეს ორი თვის ვადით ამა წლის ივლისის 13-დან. 15 ივლისი, 1920 წ., № 272. მოწვეული იქნა იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მოქმედ კანონების გადასინჯვა კომისიის წევრად ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე ასლან გოჯას-პირის ძე გელგოვანი თავის თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის ივლისის 16-დან. იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.

13 ივლისი, 1920 წ., № 268. თავისუფლება მიეცეს სამინისტროს კანცელარიის რეგისტრატორს ქეთევან ლაბაშიძეს ერთი თვის ვადით ამა წლის ივლისის 13-დან. 15 ივლისი 1920 წ., № 274. შევსებულია მიეცეს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ კანონთა გადასინჯველ კომისიის მდივანს სევერიან ნესტორის ძე ფალავას ერთი თვის ვადით ამა წლის ივლისის 15-დან. № 276. დაინიშნა იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის მოხელედ ლევან ზაქარაძის ძე თამაჯაშვილი ამა წლის ივლისის 13-დან. დეპარტამენტის დირექტორი გ. ჯორდანიანი. გზათა დეპარტამენტის დირექტორისა. 10 ივლისი, 1920 წ., № 74. მტკიცდებიან: გზატკეცილთა სამართავლოს

მუშაობის ინსპექტორებად ინენერი იოსებ ზაქარაძის ძე ანდრონიკაშვილი და ინენერი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ჩიკალინი ამა წლის 1 ივლისიდან.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი კიკინაძე.

სენატის თავმჯდომარისა. 6 ივლისი, 1920 წ. № 24.

ნება ეძლევა საქართველოს სენატის მდივანს მოსე გაბრიელის ძე მანიძეს ისარგებლოს არ დადგე დღეებით ივლისის 6 დან. სენატის მდივანის თანამდებობის აღსრულება სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში დროებით ევალება სენატის მდივანის თანაშემწეს ევგენი ალექსანდრეს ძე გამრეკელს იმვე რიცხვიდან.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე დ. ხელთუფლიშვილი.

ინსტრუქცია

საბინაო განყოფილების წარმოების სახელმძღვანელოდ 14 თებერვალი 1920 წ. № 469.

ტფილისის ქალაქის მოურავს

პასუხით თქვენი მომართვისა ამა წლის 13 თებერვლის თარიღით 410 №-თ გაცნობებით, რომ საბინაო განყოფილების წარმოებაში მყოფ საქმეების დასამთავრებლად ახალ დებულების შემუშავებამდე შეგიძლიან იხელმძღვანელოთ შემდეგი დროებითი ინსტრუქციით:

- 1) მოქალაქეთა იძულებით გადასახლება ბინიდან დაუშვებელია. 2) პირველი მუხლი არ შეეხება სასტუმროებს, რომლებიც ქალაქის თავის სრულ განკარგულებაში გადადიან. ქალაქის თავს უფლება აქვს საპროკურორისა და იძულებით განათავისუფლებების სასტუმროს ნაწილი ან სასტუმროს მთელი შენობაც. 3) ყველა ბინები, ოთახები და სხვა სადგომები, რომლებიც ამ ხანად თავისუფლები არიან და რომლებიც განთავისუფლებიან ახალ დებულების დამტკიცებამდე, გადადიან ქალაქის თავის სრულ განკარგულებაში. რაიც შეეხება ქალაქის სასტუმროს მალაზიის დაბინავებას; რომელსაც მიზნით აქვს იფ ფასებში მანუფაქტურის და სანოვანის მოქალაქეთათვის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში შესაფერ ალაგი არ მოიძებნება თავისუფალი შენობა, ქალაქის თავს უფლება აქვს იძულებით განათავისუფლებინოს რომელიმე სავაჭროს თავისი ბინა.

შთავრობის თავმჯდომარე ნ. ჯორდანიანი.

არა ოფიციალური განყოფილება

ეთავრობაში

სახლი ხაშურის თვითმართველობას. მიეცეს ხაშურის ქალაქის თვითმართველობას 5 წლის ვადით სესხად 2 მილიონი. სესხის გადახდა უზრუნველყოფილია საფუთო გადასახადით და ქალაქის უძრავ ქონებით. დადგენილება დაუყონებლივ შედის ძალაში. სათანადო პროექტი დამფუძნებელ კრებას წარედგინოს.

ტფილისის საგენერალ-გუბერნატორის შტაბები.

ტფილისის საგენერალ-გუბერნატორის შტაბი და კანცელარიის ხარჯთაღრიცხვა დამტკიცდეს. დეკრეტის სათანადო პროექტი დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას წარედგინოს.

სენატორის რევიზია.

მიეცეს შთავრობის საქმეების სამართავლოს 48.000 მან. იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც სენატორ რაინიშვილის რევიზიამ გამოიწვია.

იუსტიციის სამინისტროში

სახელმწიფო მოხამსახურეთა კავშირი. იუსტიციის სამინისტროში დამუშავებს და შთავრობის განსახილველად წარადგინებს მოხსენება სახელმწიფო მოხამსახურეთა კავშირის უფლებების საკითხის შესახებ.

ქუთაისის საპროკურორე.

თანახმად იუსტიციის მინისტრის ბრძანებისა ქუთაისის საკატორლო საპროკურორულ უფროსად ტ. დემურია დაინიშნა.

ტფილისის სასამართლოს სესია.

ტფილისის საგანგებო სამართლოს სესია ახალციხეში მიემგზავრება. სესიის მუშაობა აგვისტოს 8-მდე გასტანს. სესია სხვათა შორის ჩაბანაშვილის საქმეს გაარჩევს. ჩაბანაშვილს ბრალდება ქურდობა ფულის დამხადებელ ექსპედიციაში და სხვაგან.

სასამართლოს დაწესებულებანი ბათუმში.

ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ჩაბაროს ბათუმის ოლქის დროებითი სასამართლოს დაწესებულებანი ყველა საქმითა და ინვენტარით და ოლქში მორიგი სესიები დაინიშნოს.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

მეცხენეობის განვითარება. მიწათ-მოქმედების სამინისტროში იმუშავებენ პროექტს სხვა და სხვა რაიონში ცხენების მოსაშენებელ პუნქტების დაარსების შესახებ. საერთოდ წამოყენებულია საკითხი შესაქონლეობის გაუმჯობესების შესახებ. ამის გამო მიწათ-მოქმედების სამინისტრო ფიქროს, ახლოვდეს თვეებში მოაწყოს სხვა და სხვა სოფელში საჩვენებელი კვებისა და შესაქონლეობის კურსები.

ბალახთა მოშენება.

თიონეთის ერობამ მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე აღძრა შუამდგომლობა სპეციალისტების გაგზავნის შესახებ იმ მიწების გამოსაკვლევად, რომლებზედაც განზრახულია ბალახთა მოშენება და საცდელი მონდგრის მოწყობა. ყველა ამ გვარი მიწა გამოყოფილი იქნება საფონდო მიწებიდან.

მოსავლის შედეგები.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო საეურნეო განყოფილება აგროვებს ცნობებს მიმდინარე წლის მოსავლის საერთო ჯამის შესახებ. უკვე მოვიდა ცნობები სხვა და სხვა რაიონიდან. კრებენ სტატისტიკურ ცნობებს, საიდანაც მოსავლის საერთო ჯამს გამოარკვევენ. საერთოდ მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცნობით მიმდინარე წლის მოსავალი შეიძლება კარგ მოსავლათ ჩავსთვალოს.

ზუგდიდის მაზრაში.

მიწათ-მოქმედების სამინისტროში მიიღეს ცნობები იმის შესახებ, რომ წყალდიდობისგან დიდათ დაზარალდა ზუგდიდის მაზრა.

დამფუძნებელი კრება

20 ივლისის სხდომა. (დასასრული).

დ. შენგელაია (ს. რ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტი მეტად მნიშვნელოვანი არის და ეს გვაძლავს ობიექტივობა გამოვიჩინოთ მის განხილვის დროს. იმ ქვეყანაში, რომელსაც სათავეში უდგას მუშათა პარტია ყველაზე უწინ მუშათა კანონმდებლობისთვის უნდა მიეცეთ ყურადღება. ჩვენი შრომის სამინისტრო ორ წელიწადზე მეტია რაც მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში ერთი სერიოზული კანონი არ შეუქმნავებია. ჩვენში ფორმალურათ მაინც გაბატონებულია მუშათა პარტია, მაშასადამე მეტის მოთხოვნა შევიძლია ვიდრე ეს არის ამ კანონში. ეს კანონი ვერ დაკმაყოფილებს ვერც კაპიტალისტებს და ვერც მუშებს.

კოლექტიური ხელშეკრულება ეს არის ზავი კაბიჯალს და შორის შორის და ზავს ზომი გამარჯვებული მხარე უკარნახებს ყოველთვის ამ კანონში კი არ სჩანს, რომელი მხარე არის გამარჯვებული. ორატორი ეხება მიღება-დათხოვნის საკითხს, ნარდათ მუშაობას, ქარხანაში არსებულ შნაურ წესს და ამბობს იმ დროს როდესაც საკითხი დგება წარმოების სოციალიზაციის, ნაციონალიზაციის, კანტროლის შესახებ, აქ ამ დროს ისეთი წესების გატარება, როგორც არის კანონში დაგვიანებულ არის.

ორატორს საჭიროთ მიაჩნია კოლექტიური ხელშეკრულება ვრცელდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურებზედაც. დასასრულ თავის სიტყვასაც აცხადებს, რომ შედარებით მასთან რაც არის ეს კანონი არის ნაბიჯი წინ, მაგრამ იმასთან შედარებით რაც შეიძლება გვექნოდეს იმ ძალთა განწყობილების მიხედვით რომელიც არსებობს ჩვენში ეს კანონი არის ნაბიჯი უკანო.

თედო ლილიანი. აღნიშნავს, რომ თვით ის ფაქტი, რომ ან კანონის განხილვის დროს დამდგენებელ კრებაში მუშები სრულიად არ სჩანან (აღვილიდან: ეხლა მუშაობის დრო.) მომასწავებელი იმისა, რომ ეს კანონი არ წარმოადგენს სულს და გულს მუშათა კლასისათვის და სწორედ ამით აიხსნება ინდუფერენტობა. ეხება რა კანონს, აღნიშნავს, რომ იგი ავტომატურად პრაქტიკულ ნიადაგზე, მაგრამ თუ ასეთი პრინციპი მისაღებად, ვერაშაში, ჩვენში მას აღვიღებთ არ უნდა ჰქონდეს—იქ ბურჟუაზია დარბაზულ ძალას წარმოადგენს, ჩვენში ბურჟუაზია სუსტია და ამიტომ თანასწორ პირობებში ჩაყენება ბურჟუაზიის მიუღებელია. ჩვენი ბურჟუაზია არავითარ ღირებულებას არ ქმნის, იგი მთელ თავის ფულს სპეკულიაციას ანდომებს. იგი არ არის მრეწველობის ელემენტი, მას მართალია მინიჭებულ აქვს ყოველგვარი თავის სუფობა, ხელ-ფეხი განსწავლია აქვს, მაგრამ ბურჟუაზიას დღემდე ვერ დაუწინავებია თავისი უნარი. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა სახელმწიფო და თვითმართველობათა მოსამსახურებზედაც ვრცელდებოდეს კოლექტიური ხელშეკრულება. უმთავრესი ნაწილი მოსამსახურებისა დაბანდებული არის სახელმწიფო და ეროვნებში და უმრავლესობის ინტერესები დაცულ უნდა იქნეს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სწრაფის მუშებსაც და შრომის დაცვის კანონები მათზედაც უნდა ვრცელდებოდეს. გაგრძელება მსჯელობისა გადილი შემდეგი სხდომისათვის.

განძობა შევინებისა და ჩვენი დემოკრატიის ბასუსისმგებლობისა. ჩვენი დემოკრატია თავის ნებით არავის უტოვებს პოზიციებს. ჩვენ შეუცვლელ დ და მტკიცეთ ვიცავდით ჩვენი თავის ორიენტაციას და იმედი გვექნოდა მხოლოდ ჩვენი ძალით. ისტორიამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ვუყავით მართალი. ჩვენმა სახელგანმა გვარდიამ და ჯარმა ფილოს, წითელი ხიდის და სხ. სამხედრო მიმართულებებზე დამტკიცა, რომ საქართველოს ყვანან დამცველი, რომელიც ყოველთვის მზათ არიან მტერთან შესაბრუნებლათ. ჩვენ ხშირად გვეუბნებიან, რომ პოლიტიკურად ძლიერნი ვართ, მაგრამ ეკონომიურად სუსტნი და გვირდებიან დახმარებას ჩვენი მდგომარეობის გასაძლიერებლად, მაგრამ მე ვცხადებ, რომ ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით ვაზნალოთ საერთაშორისო სპეკულიაციის სათამაშოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. რასაკვირველია, იგი ბრწყინვალე არ არის მაგრამ ის ბევრად უკეთესი ზოგიერთი სხვა ქვეყნის მდგომარეობაზე ჩვენ ვაშენებთ და ვქმნით იმ დროს, როდესაც მაგალითად რუსეთში ანგრევდნ. და ბოლოს, თვით იმ მხარეების მდგომარეობა რომელიც წინადადებას გვადლევენ დახმარებისას, ბრწყინვალე არ არის. საქარისა ვაცნობა ციფრებისა, რომელიც მაჩვენებელია მრეწველობის კრიზისისა და ტრანსპორტის დაშლის დასაგლეჯში, რომ ამაში დარწმუნდეთ. მომხსენებელს თავის სიტყვის დასამტკიცებლად მოყას ციფრები და ცნობები საზღვარ გარეთის პრესისა. ადარებს რა ბოლშევიკების პოლიტიკას და სოციალიზმის განხორციელების მეთოდებს საქართ. ხალხის პოლიტიკას, რომელიც ნამდვილი დემოკრატიული გზით მიდის, მომხსენებელი ხაზს უსვამს რომ რუსეთის ბოლშევიკები ვერ ასწავლიან საქართველოს დემოკრატიას საქართველოში სახელმწიფოებრივ ამშენებლობას. მტრების შემოტევით საქართველოს ხალხი ამ წლებში განმავლობაში მუშაობდა თავის სახელმწიფოებრივობის განსამტკიცებლად და შეუძლია მან იმაყოს თავისი მუშაობის შედეგებით. ჩვენ საყოველთაოდ სწავლა აღზრდის განხორციელების გზაზე ვიმყოფებით, ჩვენ ვეჭვს უნაყრს ატეხთ მღე გვექნება პოლიტენს კეში. ჩვენმა საერობო და ქალაქის თვითმართველობებმა განამტკიცეს ადგილობრივ ძალა უფლება და ფართო მონაწილეობა იღებენ მხარის ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში. მ საათის სამუშაო დღე დკანონებულია. მთელი საქართველო მალე ტელეფონის ქსელით მოიფინება. დაარსდა ახალი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები და სხ. მთავრობა და დამფუძნებელი კრება სარგებლობს ხალხის ნდობით და საქართველო მათ პროგრესისა და ცივილიზაციის გზისაკენ მიჰყავთ. ჩვენ უნდა გვევამდეს რომ ისტორიამ საქართველოს აღმოსავლეთში დიდი კულტურული ამოცანა მიაწოდ. დასასრულს მინისტრმა მოუწოდა მტკიცებდით მშვიდობიან და ინტენსიურ შრომისაკენ და აღნიშნა, რომ კერძო ვაჭრობა და მრეწველობა არ იქნება შევიწროვებული, რასაკვირვლია, იმ პირობით თუ იგი სახელმწიფოს ინტერესსა და არა სპეკულიაციის დაუწყებს მსახურს. მოხსენებამ დიდი ვაგუნა მიახდინა. რამიშვილს ხალხი ოვაციებით შეხვდა და ოვაციებითვე გააცილა.

შინაგან საქონი შინი ტრის ნ. რამიშვილის განხილვა გ. თოფში.

იმ მოხსენების წაკითხვის შემდეგ, რომელიც შინაგან საქონი მინისტრმა ნ. რამიშვილმა გააკეთა მრავალრიცხოვან მიტინგზე, მინისტრს მსცეს მთელი რიგი შეკითხვებისა, რომლებზედაც დაწვრილებითი განმარტებანი მისცა. რათი არის გამოწვეული შინაგან საქონი მინისტრის მოსვლა ბათომში? აქ კითხვაზე რამიშვილმა უპასუხა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ მიანდა მას ძველი დაწესებულებათა ლიკვიდაცია და ახლად მოწყობილ დაწესებულებათათვის სათანადო დირექტივების მიცემა. მეორე შეკითხვაზე: შესაძლებელია თუ არა ოსმალეთის ჯარების შემოტევა ზღვის ნაპირებში, იმ მდგომარეობაში, რომელშია ოსმალეთი იმყოფება? რამიშვილმა გარკვევით განაცხადა: ასეთ შეტევას ჩვენ არ ველოთ, მაგრამ მზათა ვართ მივლოთ იგი ყოველ დროს, და თუ ასეთი რამ მოხდება, იმ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკა შესძლებს დაცვას თავისი თავი და ხალხი ამ შემოტევისაკენ. ოსმალეთის ყურადღება საბერძნეთ-მოკავშირეთა ფრონტისაკენ არის მიპყრობილი და ამიტომ, რასაკვირველია, იგი ვერ შესძლებს

შემოტევის დაწყებას ჩვენ წინააღმდეგ. მესამე შეკითხვაზე: დარჩებიან ბათომში უცხო სახელმწიფოების საკონსულოები, თუ ტფილსში გადავლენ? რამიშვილმა უპასუხა: ისინი ბათუმში დარჩებიან, მხოლოდ ტფილისში თავის წარმომადგენლები ეყოლებათ. მეოთხე შეკითხვაზე: რით აიხსნება ნათსადგურში უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემების ყოფნა? სამხედრო გემები, განაცხადა რამიშვილმა, საერთოდ მთელი შვი ზღვის სანაპიროებს იცვენ. მოკვირეთა გემების რესპუბლიკის ზღვის ნაპირებთან ყოფნა სასკრველია მხოლოდ, ვინაიდან მოკავშირეთა ფლოტს საქართველოსთვის სერიოზული დახმარებას აღმოჩენა შეუძლია. რა თქმა უნდა მოკავშირეთა გემების ყოფნა ნათ-სადგურში რესპუბლიკის მთავრობის დაუკითხავათ არ ხდება, ვინაიდან ჩვენი ინტერესები ანტანტის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ნათსადგურში გემების ყოფნა არ უნდა ვაივით ისე, რითქონ იგი გამოწვეული იყოს საქართველოში და კერძო ბათუმში მცხოვრებ უცხოელთა ინტერესების დაცვის საჭიროებით, მოკავშირეთა ქვეშევრდომნი, რომლებიც საქართველოში სცხოვრობენ, გარეშეთა დაცვის არ საჭიროებენ, ვინაიდან თვით საქართველოს მთავრობის ქვეშ იმყოფებიან. როგორია რესპუბლიკის სასურსათო მდგომარეობა? იყო მეტყვე შეკითხვა. ის მდგომარეობა აღნიშნა ნ. რამიშვილმა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, დამაკვირვებელია მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულ თვით ამ მხრით, ივლისი უნდა ჩაითვალოს. წელს პურის მოსავალი კარგია. პურის მკა აღმოავლეთ საქართველოში უკვე დაიწყო და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ თვის განმავლობაში დასრულდება. ასეთ პირობებში ავსიტროში ჩვენ, ალბად, შეძლება გვექნება ვაუდილოთ ულუფა მუშებს, რომლებიც ეხლა მხოლოდ ერთ გირვანქა პურს ღებულობენ. ყოველ შემთხვევაში კრიტიკულმა და მწვავე მომენტმა განვლო, მეექვსე — როგორია მთავრობის უახლოესი მიზნები რესპუბლიკის შინაგან პოლიტიკაში? ამ შეკითხვაზე მინისტრმა უპასუხა: ამ უახლოეს დროში განზრახულია აგრარულ რეფორმის გატარების დასრულება უმთავრეს ნაწილებში. განსაკუთრებით ყურადღება აქვს მიქცეული პირველ დანაშტეხით საყოველთაო სწავლის გავრცელებას. ამ შემთხვევაში მთავრობა ყველა ზომებს მიმართავს, რომ განათლების საქმე, რაც შეიძლება უფრო ფართოდ განავითაროს. ამ წლის განმავლობაში მთავრობას შეძლება ექნება რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ტელეფონის ქსელით და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებით დაფაროს. ყოველ თემში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის კანტორა იქნება იმ მიზნით, რომ ყოველი თემი და სოფელი დაკავშირებული იქნეს იმ ქალაქთან, რომელსაც იგი ეკუთვნის. ყოველი ქალაქი დაკავშირებული იქნება რესპუბლიკის დედაქალაქთან. ამ ეამად ასეთი კავშირი უკვე არსებობს ტფილისთან, ქუთაისთან, კიათურასთან და სხვ.

ტფილისი, გარდა კახეთისა, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქთან არის შეერთებული. მალე ასეთი კავშირი ფოთთანა და ბათომთანაც დამყარდება. მთავრობის მთავარი ყურადღება რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრებისაკენ—არის მიქცეული. ჩვენი წარმომადგენლები საზღვარ გარეთ იმყოფებიან იმ მიზნით, რომ იქ განახორციელონ ზომები საკუთარ მტკიცე ვალიუტის შესაქმნელად. სერიოზული ყურადღება არის მიქცეული სამონოპოლიო საქონლის საზღვარ-გარე ვატანის გაფართოებაზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთი ექსპორტი შექმნის პირობებს საქონლის გასაიდგობლად. ვატანოდ საქონლის სამაგიეროდ ჩვენ ვღებულობთ პირველ საქონლებს საგნებს. იმ შეკითხვაზე, თუ რა წესით განხორციელდება რეფორმები ბათომის ოლქში, რამიშვილმა უპასუხა, რომ უპირველესად ყოვლისა უნდა მივიღოთ ზომები ოლქში სრული წესიერების დასამყარებლად. პირველ რიგში გადაუდებელი რეფორმები გატარდება ოლქის მცხოვრებთა საშუალება ექნებათ ბათომში თავის შეინ-ულ-ისლამი იყოლონ, რის შესახებ არა ერთხელ გაუკეთებიათ განცხადება აქარლების წარმომადგენლებს. რაც შეეხება ოლქის ადმინისტრაციას, მთავრობამ გადასწყვიტა იყოლიოს ოლქში პირველ ხანებში ისეთი ადმინისტრაცია, რომელმაც წინეთაც დამტკიცა საქართველოს ცენტრში თავისი რესპუბლიკისადმი ერთგულება. კერძოდ მილიციის შემადგენლობაში დარჩებიან ის აქარლები, რომლებსაც საქართველოს წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით და რომლებსაც კმაყოფილიც არიან მცხოვ-

რები. შევიდენ—მოახდენენ თუ არა ბათომში სკოლების ნაციონალიზაციას? მინის ტრმა უპასუხა, რომ საშუალო სასწავლებელში ნაციონალიზაციას ვაატარებენ, მაგრამ რა თქმა უნდა რუსებისათვის და საერთოდ არა ქართველთათვის პარალელური კლასები ვაიხსნება. დასასრულ რამიშვილმა განაცხადა, რომ მან ივლისის 19 ინახულა ქედა და ხულო და მთავრობის სახელით წინადადება მისცა ხულოს მცხოვრებთ, რომელმაც მას წინ შეეგებენ, რომ ერთ კვირის განმავლობაში ჩააბარონ სამხედრო ნაწილთა იარაღი და ყველა სხვა სამხედრო მასალა. მინისტრმა განუცხადა მათ, რომ საქართველოს მთავრობა აუნაზღაურებს ზარალს იმ პირებს, რომლებიც საქართველოს მთავრობას იცავდენ და ამ შეტაკების დროს დაზარალდენ. ამასთანავე მან განაცხადა: იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულ დროსთვის ეს მოთხოვნა იღება არ იქნება შესრულებული, მთავრობა სასტიკ და გადამწყვეტ ზომებს მიმართავს. მცხოვრებლებმა უნდა გასცეს აგრეთვე მათ წრეში დამალული ოსმალეთის ოფიცრები. რესპუბლიკის არ სურს ვინმეზე შური იძიოს, მაგრამ თუ რომელიმე, თუ გინდ სულ მცირე ჯგუფი რესპუბლიკის წინააღმდეგ ვაილაშქრებს, მას სასტიკად მოეპყრობიან. აქარის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი უსიტყვოთ შეასრულებენ მთავრობის ყველა მოთხოვნა.

საქართველო და იტალია

ამ დღეებში იტალიიდან ტფილისში ჩაპოვიდა იტალია-კავკასიის გამწადებელ ბანკის გამგე მ. მ. პინტო, რომელმაც საქართველოს დეპუტათა საავენტროს წარმომადგენელს იტალიის საქართველოსადმი დამოკიდებულების შესახებ შემდეგი განუცხადა: მიუხედავად საგარეო პოლიტიკის იმ ხაზისა, რომელსაც იტალიის მთავრობა ადგია, მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს იტალიის საზოგადოებრივ აზრს, და უეჭველია, რომ ყველა სახელმწიფოზე უმაღლეს იტალიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა უმთავრესად იყო შედეგი იმ განწყობილებისა, რომელიც იტალიაში არსებობდა საქართველოს მიმართ. დიდი ხანი არ არის, მას შემდეგ, რაც თვითონ იტალია განიცდიდა ამგვარ პერიოდს. სამწუხაროთ, ჯერჯერობით იტალია სუსტათ არის დაკავშირებული საქართველოსთან, რადგანაც იქ დღემდის არ არსებობს ინფორმაცია საქართველოს საქმეების შესახებ. ცნობებს საქართველოს შესახებ ღებულობენ საქამოლიდან და ეს ცნობები ხანდახან ისეა დაზიანებული, რომ ყოველად შეუძლებელია შვი საქართველოს რესპ. ცხოვრების, ნამდვილი სურათი დაინახოთ. იტალიის პრესაში იყო, მაგალითად, ასეთი ცნობები: ნოვოროსისიკიდან ხმელეთის გზით ბოლშევიკები ბათუმს ემუქრებიანო, ან და ენგლისის კრესიერი ბაქოში ვაიგზავნოს და სხვ. ისეთი ცნობები, როგორც მაგ. ხმები ბოლშევიკების მიერ ტფილისის აღების შესახებ, რომელიც პრესაში იყო, ცხადია ერთგვარ სიფრთხილეს გამოიწვევდა საქართველოსადმი დამოკიდებულების საქმეში, მაგრამ მე შემიძლიან გადაჭრით ვთქვა, რომ იმ წრეებს, რომლებიც ვაცნობილი იყვნენ საქართველოს მდგომარეობასთან, ერთ წუთსაც კი არ შეპარავათ ეჭვი იმაში, რომ საქართველოში არ განმეორდებოდა აღებრებიანის ამბები. საქართველოს შესახებ დამამშვადებელი ცნობების მიღებამ იტალიის საზოგადოებაში დიდი კმაყოფილება გამოიწვია. განსაკუთრებით სიამოვნებით შეხვდა იტალია ბათომის საქართველოზე გადმოცემის ამბავს. სხვათა შორის იტალია ერთის მხრივ ამაში უყურებდა ფიქმეს ისტორიის განმეორებას. საერთოდ იტალია მეტად დაინტერესებულია ახლო აღმოსავლეთის საკითხით. იტალიას სურს ახლო აღმოსავლეთში ალაღვიოს ის ძალთა წონასწორობა, რომელიც დაყრდნობილი იქნება ერთა დამოუკიდებლობაზე და რომელიც იმის სრულ გარანტიას მოგვექმს, რომ არ იქნება ხალხთა შორის შეიარაღებული შეტაკება. იტალია დაინტერესებულია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბაზრით. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქართველო იტალიისათვის წარმოადგენს მხოლოდ მისი მრეწველობის ნაწარმოებთა გასაიდგობელ ბაზარს. საკითხი საქონლის გაცვლა-გამოცვლაში მდგომარეობს. იტალიას შეუძლია საქართველოს მისცეს დამატკეს კიდევაც მანუფაქტურა, რკინის ნაწარმოები და სხვა. სამწუხაროთ, საქონლის გაცვლა-გამოცვლა ბრკოლდება ქალაქის ფულის კურსის რყევის გამო. ამასთანავე იტალია დაინტერესებულია საქართველოდან

მარგანეცი, მატყლის, აბრეშუმისა და ხე-ტყის შეტანით განსაკუთრებით იტალიისათვის და თუთუნის შეტანით, როგორც იტალიისათვის, აგრეთვე ჩრდილო ქვეყნებისათვის. იტალია მეტად დაინტერესებულია საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეებით: ტყით, ქვანახშირით, ნავთიანით და მანდრული ადგილებით. კერძოდ იტალიას ინტერესებს აბრეშუმის საკითხი, რომელიც სავსებით არ არის შესწავლილი. იტალიის მეფობრივით არა ერთხელ სურდათ აბრეშუმის ფაბრიკის გახსნა, მაგრამ ამას ხელს უშლის მუშა ხელფასის სიძვირე. საქართველოს და იტალიის შორის ეკონომიკურ დამოკიდებულებას განვითარებას ხელს უშლიდა აგრეთვე არა ნორმალური საფასურის სატელეგრაფო დამოკიდებულება. ეხლა, საბუნებრივად, ეს საკითხი მალე სასურველად გადასწავლება და ეს კეთილმოყვულ გავლენას მოახდენს საქართველო-იტალიის ურთიერთ დამოკიდებულებაზე.

ეკონომიკური და ქალაქური სწრაფი განვითარების მიზნით არის ბლოკადა და ომია, რომელსაც ბოლშევიკები აწარმოებენ. ამას მიზნით აგრეთვე ტრანსპორტის სრული დაშლა. საბჭოთა ინჟინერები გზების განახლების საქმეში სასწაულს ჩადიან, მაგრამ მათ, ბოლშევიკებს, არ აქვთ მოძრაობის შემადგენლობა, და ორთქმავლები. დღევანდელი წყევლების საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ბნელ მასაში შეანათა სინათლე. ტერორის დასასრული ახლოვდება, მასის ბოლშევიკების წინააღმდეგ აღშფოთებას ხელს უშლის ომი, რომელიც პატრიოტულად განწყობილ ელემენტებს აკავშირებს.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)
სენატორი ბერარი საფრანგეთის შესახებ.

სენატორი ვიქტორ ბერარი გამოვიდა განცხადებით საფრანგეთის მიზნების შესახებ აღმოსავლეთში. ბერარი ამტკიცებდა, რომ საფრანგეთი აღმოსავლეთში ყოველთვის უპირატესობით სარგებლობდა. ფინანსური მხრით საფრანგეთს აღმოსავლეთში 38% ქონება, ინვლისის 13, საზოგადოებრივ მუშაობაში 70% შიში მონაწილეობა! გამოიხატებოდა-70% შიში, ინვლისის 10-ში. საფრანგეთის კაპიტალის გავლენის ქვეშ იყო 4,633 კილომეტრი რკინის გზა, ინვლისის გავლენის ქვეშ კი მხოლოდ 624 კილომეტრი. საფრანგეთის ვალდებულებანი აღმოსავლეთში უნდა დარჩეს ძველი, ესე იგი, მან უნდა დაიკავოს ქრისტეს სარწმუნოება, ვაჭრობა და ხმელეთა შუა ზღვაზე მიმოსვლის თავისუფლება. ამის განხორციელებაში საფრანგეთმა აღმოსავლეთში საფრანგეთის ვალიუტით 93 მილიარდი ფრანკი დატარა. ფრანგების ქონება დაიტაცეს. წინეთ საფრანგეთი ხელს უწყობდა ოსმალეთს, რომელიც საკმაო ძლიერი ძალა იყო ხმელეთა შუა ზღვის დასაცავათ. ეხლა ოსმალები გაქრენ, მაგრამ ეხლა უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომა, რათა საფრანგეთმა აღმოსავლეთში წინანდელი გავლენა შეინარჩუნოს.

ხალხთა ლიგა.

ხალხთა ლიგისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო კონფერენციის საფრანგეთის წარმომადგენელმა ლ. ბურჟუამ განაცხადა, რომ იგი სრულიად დარწმუნებულია ხალხთა ლიგის მუშაობის ნაყოფიერებაში. მოსალოდნელია კიდევ მუშაობა. შორის საერთაშორისო კონფერენცია არის კაცობრიობის ისტორიის ერთი უდიდესი ძეგლთაგანი, რომელმაც უშეზღუდრესი შედეგები უნდა მოგვცეს. ხალხთა ლიგა თანდათან დიდ მნიშვნელობას აღემატება. წინანდელი სკეპტიციზმი მისადმი უკვე აღარ არის. მეტად საყურადღებოა ის, რომ უკანასკნელ ხანებში ხალხთა ლიგის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ამერიკის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ვ. რუტი.

ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„დილი გერალი“ სწერს: „შესაძლებელია, რომ კრანინთან“ მოლაპარაკება სრულიად შეწყდება და მას წინადადებას მისცემენ დასტოვოს ლონდონი. ამ შემთხვევაში მოკავშირენი აქტიურ ზომებს მიმართავენ და ყველა ანტი-ბოლშევიკურ ძალას დახმარებას აღმოუჩენენ. ამ შემთხვევაში ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტენსიურ ხასიათს მიიღებს, ლიდი ჯორჯი კატეგორიულად მოითხოვს მოსკოვის მთავრობისაგან რომ მან გარკვეული პასუხი გასცეს მოკავშირეების მიერ დასმულ კითხვებზე.

საბჭოთა მთავრობა და შვეიცარია.

შვეიცარიის სოციალისტური პარტიის ორგანო „სანტინელი“ იუწყება: საბჭოთა მთავრობამ შვეიცარიას წინადადება მისცა ყველა საქონლის დარბეულზე ოქროთი იქნეს გადახდილი. წინასწარ მოლაპარაკებით გათვალისწინებული ერთ ერთ შვეიცარიის ბანკში „ოქროს კანტონის“ დაარსება. ამ შემთხვევისათვის ფედერაციულ საბჭოს თავისი პასუხი ჯერ კიდევ არ მიუცია.

მილერანი და სპის კონფერენცია.

მილერანის განცხადებით სპის კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ექნება. აღნიშნული კონფერენცია ბევრ საქირო საკითხებს შეეხება.

ბრიუსელის კონფერენცია.

ბრიუსელის ფინანსური კონფერენცია შეიკრიბება 25 ნოემბრისთვის.

ვილსონი სომხეთის შესახებ.

ვილსონს გადაუწყვეტია, რომ ვიდრე კონგრესი არ დაამთავრებს თავის მუშაობას ის სომხეთის საკითხის შესახებ ვრავითარ გადაწყვეტ ნაბიჯებს ვერ გადასდგამს. კონგრესის გაშვების შემდეგ ვილსონი უმაღლეს საბჭოს წინაშე წარსდგება მოთხოვნით, რომ ამერიკამ მიიღოს მანდატი სომხეთზე.

ლლოიდ-ჯორჯი ხალხთა ლიგის შესახებ.

ლლოიდ ჯორჯი პესისიმისტურად უყურებს ხალხთა ლიგას. მას ეკვი ეზარება რომ შესაძლებელია ხალხთა ლიგამ თავისი დანიშნულება ვერ შეასრულოს და ეს კი კაცობრიობის ცივილიზაციას კარგს არაფერს მოუტანს.

მოკავშირეთა პასუხი ოსმალეთს.

ვერსალში ოსმალეთის დელეგაციის მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განუცხადეს, რომ ისინი ოსმალეთს საზოგადოებრივ ხელშეკრულების ხელს მოწერიისთვის აძლევენ კიდევ ათი დღის ვადას.

ბ ა თ ლ ე ი.

სამხედრო მინისტრის მადლობა.

სალამისათვის მხურვალე მადლობა და ძმურ მოკითხვას გითვლის ჩემი პირით რესპუბლიკის ჯარი. ჩვენი სამხედრო ოჯახი ხარობს და შეიმობს საქართველოს დემოკრატიის საერთო დღესასწაულს და კიდევ უფრო ბედნიერია იმით, რომ თქვენის სახით მას ახალი ბრძოლაში გაფორმდებული, ვაჟკაცი—ძმა ამოუღდა გვერდით.

საქართველოს მუშათა დემოკრატიის ისტორიაში ორი სიტყვა „ბათუმის მუშა“ კლასობრივ-მოქალაქეობრივ შეგნებისა და რევოლუციონერ თაგადლების საუკეთესო ატესტატი იყო; და ჩვენ ყველას გვარწამს, რომ ასეთივე იქნება „ბათომელი გვარდიელი“.

რესპუბლიკა დამზიდებულია იმ მეტათ საპასუხისმგებლო საგუშავოს შესახებ, რომელსაც თქვენ იცავთ. ევროპასთან ჩვენი ურთიერთობის ალაყაფის კარი საიმედო ხელშია.

სამხედრო მინისტრი **გ. ლორთქიფანიძე**.
ბანკეტი.

სომხეთის გენერალურ საკონსულოს ბათუმის საზოგადო საკრებულოს დარბაზში ბათუმისა და ბათომის ოლქის საქართველოზე გადაცემის გამო ბანკეტი გაიმართა. ბანკეტს დაესწრენ: ოლქის განსაკუთრებული კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი თავის უახლოეს თანამშრომლებით, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე პრეზიდენტის წევრებთან ერთად, ბათუმში მყოფი საფრანგეთის მისიისა და სომხურ, პოლონურ, ქართულ, ბერძენთა და ებრაულ საბჭოების წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი და სხვები. პირველი სადღეგრძელო საქართველოს მთავრობის და ქართველ ხალხის პატრიოტული წარმოსთქვა სომხეთის გენერალურმა კონსულმა ათაბეგიანმა. მან საქართველოს უსურვა აყვავება და რესპუბლიკის განმტკიცება. მან რწმენა გამოსთქვა, რომ საქართველო დაიკავს რა თავის ტრადიციებს მხედველობაში მიიღებს სომხეთის ინტერესებს ბათომში. სადღეგრძელოს დროს ჰიმნი დაუკრეს. საპასუხო სიტყვით მიმართა მას ჩხიკვიშვილმა, რომელმაც სომხეთის დემოკრატიის უსურვა თავის იდეალებს განხორციელება. ჩხიკვიშვილმა სთქვა: იგი არ არის ნამდვილი პატრიოტი ვინც, თავის ხალხის ინტერესების დაცვასთან ერთად ყურადღებას არ აქცევს და პატივისცემით არ ეპყრობა მეზობლის ინტერესებს. ამიტომ საშუალოა, რომ ამ იერ-კავკასიის ოჯახის ერთმა წევრმა-ადერბეიჯანმა, უღალატა საერთო საქმეს, რითაც უპირველესად ყოვლისა თავის თავს მიაყენა

ზანი. საქართველო და სომხეთი კულტურისა და პროგრესის სადარაჯოზე სდგანან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერთო ძალიან იმედი-კავკასიის ერები შექმნიან ისეთ პარობებს, რომლებიც მათ თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობასა და განვითარებას უზრუნველყოფს. სიტყვები წარვოსთქვეს აგრეთვე საფრანგეთის მისიის წარმომადგენელმა, საბერძენეთის კონსულმა და სხვა.

ახალი აგებები

ქ. ტფილისის გენ. გუბერნატორის განკარგულება. ივლისის 14. ქ. ტფილისის გენერალ გუბერნატორმა აუწყა რუსთა ეროვნულ საბჭოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს შენობაში მოხდა ნებადართული კრებები, საბჭოს დავეტეოთ და ყრილობის ორგანიზატორებს პასუხისმგებლობა მივცემთ. საბჭოს პრეზიდენტმა ტფილისის გენ. გუბერნატორს უპასუხა: ჩვენ არ შეგვიძლია კომუნისტების მოქმედებაში პასუხისმგებლობის ჩვენს თავზე მიღება, მით უმეტეს, რომ სხდომის დარბაზში, სადაც კრებები ხდება ჩვენ კომუნისტებისთვის არ დავეთმით.

ღიღი ბეგევა. ძლიერმა სეტყვამ ბაშკირეთის რაიონის საგარეო ნაწილი ვანადგურა. თანახმად სამაზრო ერობის ცნობებისა, სეტყვით დაახლოებით 2.000 დღესტინა ნათესი არის დაზარალებული. მცხოვრებლებმა დახმარების აღმოსაჩენად ერობის მიმართეს. ივნისში სეტყვისაგან ეკატერინოვოდის რაიონის 10 სოფელი დაზიანდა. მიუხედავად ამისა ქვემო ბორჩალოში ისეთი კარგი მოსავლია, რომ მომარაგებას საიმინსტრო 100000 ფუთ. ხორბლის გამოტანას ფიქრობს. ამ ოპერაციებში მხურვალე მონაწილეობას იღებს აგრეთვე ბორჩალოს სამაზრო ერობა. პურის შესყიდვა კარგად მიმდინარეობს. უკვე დარიგებულია ბე, მაგრამ ბაზრის ფასი მაინც ცვალებადია.

რეპრესიული ზომები ტრამპუნდში.

ტრამპუნდში ბერძენებისა და საერთოდ სომხების ქვეშევრდომთა წინააღმდეგ ოსმალეთის თანამდებობის პირებმა განსაკუთრებულ რეპრესიულ ზომებს მიმართეს. ბერძენები იძულებულნი არიან ოჯახებიანათ ნავებითა და შუბნებით გაიქცენ. თანახმად ბათუმში მოსულ ცნობებისა ტრამპუნდის ვილაიეთი ინგლისელებსა და ბერძენებს დაუკავებიათ.

ვალის დაღემა. ტფილისის კოოპერატივთა კავშირში ბათომიდან ცნობები არის მიღებული უცხო ვალის კურსისა და მასთან სტერლინგის კურსის დაცემის შესახებ. ამასთანავე საერთოდ იზრდება ქართული ვალის კურსი, ბათომის ბაზრის მდგომარეობა ამ ყამად ბევრად გაუმჯობესდა საქონელი თანდათან მოდის. ამ მოვლენამაც გავლენა იქონია ქართულ ვალის მგომარეობის გაუმჯობესებაზე.

გზატყეცილების და წყლის სავალ გზების სამმართველოს უფროსი, ინჟინერი კორინთელი დაბრუნდა ტფილისში ბათომიდან, სადაც იყო გამგზავრებული სამსახურის გამო.

სასაქონლო უში

შადღე მალაქელიძისა და სხვების საქმე.

(18 ივლისის სხდომა).
 სხდომა იწყება ბრალდებულის სიტყვით. **ბრალდებულები შათა და დიანა.** ოთხი საათი ლაპარაკობს. მისი სიტყვა ლამაზია ფორმით და მდიდარია შინაარსით. ეს პირველი დიდი საქმეა, იწყებს იგი, რომელსაც მსჯავრი უნდა დასდოს საქართველოს ხალხის სიდიდისა. საქმე ირჩევა აგერ მეოთხმეტე დღეა. ბრალდებულები და საზოგადოებრივ ბანკო ნაფიცო მსაჯულნი, მოუთმენლად მოვლიან თქვენს განჩინებას, რომელიც, მრწამს, იქნება სამართლიანი, მიუღვიმელი და წმინდა. მე, როგორც რესპუბლიკის ბრალდებულები, ვაცხადებ, რომ სახელმწიფო და კანონი არ არის დაინტერესებული და გატაცებული შურისძიებით. მისი მიზანია მხოლოდ, რომ დანაშაული არ დარჩეს დაუსჯავლი და ყველა, ვინც ბედნაჲს კანონის დარღვევასა და თავმეტე კანონებში მის გადაღაბას, გრძობდეს სიმძიმეს თავის დანაშაულისა და ღირსეულ სასჯელს ზიდავდეს ამისათვის.
 შემდეგ ეხება სათითაოდ ბრალდებულთა მოქმედებას და დამტკიცებულად მიიჩნია ბრალდება ყველას წინააღმდეგ, გარდა აზნაუროვისა, რომელიც გახდა მსხვერპლი ახალგაზრდა საქართველოს სასამართლოს ორგა-

ნობის უნებლიეთ შეცდომისა.
 დასასრულ იგი თხოულობს, რომ ბრალდებულნი გარდა აზნაუროვის დასჯილი იქნენ სისხლის სამართლის კანონების იმ მუხლების ძალით, რომელიც ნაუფლისხმევი საბრალდებულო აქტში.

ფრონტისათვის

ფრონტის დახმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

ამ მოყვანილი ანგარიში თუ შეცდომას შეიცავს კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყონებლივ ეცნობოს ეს გარემოება მთავარი კომიტეტს. (ტფილ. სასახლე)
 დღუშეთის ფრონტის დღის მომწყობი კომიტეტისაგან 32,087 მან. 50 კაპ.
 ავლაბრის სამოქალ. მე-9 სასწავლ. მოწაფე. 600 მან.

კრუშკებთა შემოსული 24275 მ., აუქციონით ნივთების გაყიდვისაგან 7575 მ., გაზეთ „ბორბას“ რედ. 1500 მ., გაზეთ „ერთობის“ რედ. 5778 მან.. „კინო-მინიონისაგან“ 5000 კინო თეატრი „ამპირისაგან“ 200 მ., რუსის თემის ფრონტის დახმარე კომიტ. 4000 მ. 20 კ., ბრმათა სკოლის მოსამსახურე. 500 მ., ტფილისის მილ. უფროსისგან 3650 მან., ტფილ. სახელმწ. კანტროლ. მოსამსახურეთა კომიტეტ. 583 მან., ვასილ გეგეჭკორისაგან 1900 მან., შორაპნის მაზ. ფრონტის დახმ. კომიტეტ 100,000 მ., ლაგოდების ფრონტის დახმარე კომიტეტ. 400 მ., ქალ. სიღნაღის გამგეობ. (გაგვეების წარმოდგენით შემოსული) 727 მ., ჭრებალოს მომხმარ. საზ. „სინათლე“ 5000 მ., ტფილ. სარანსკ. საზოგ. კანცელ. მოსამსახ. 6600 მ., სამტრედიის მეომართა დახმარე კომიტეტ. 28000 მან. 30 კ., მილიც. უფროს. ჩირაქ მუსა-ოღლის მიერ ქრთამის სახით შემოსული 4 უბნის მილიც. ხუციშვილისათვის 500 მ. სენაკის სამაზრო ერობის გამგეობ. ფოცხო და ნოქალაქევის საზოგ. შეკრებილი 3609 მ., სენაკის სამაზ. ერობის გამგეობ. მარტვილის თემში შეკრებილი 1325 მ., სოფ. ბაისუბნის ფრონტისთვის შემოწირულ. შეგკრები კომის. 26958 მ., ავჭალის მინის ქარხნის მიერ. 614 მ. 45 კ., მიწათმოქმ. სამინ. სტატისტ. განყოფ. 1450 მ., № 300 მ., № 25 მ., [ვაჩანაძე] 100 მ., დადავილი 50 მ., ჩუმიერძემ 50 მან., მრავატანი 50 მ., მ. ატოევა 100 მ., ბუკრეტოვა 300 მ., პუდალოვა 100 მ., კვანტალიანმა 50 მ., ქვრივიშვილი 25 მ., პერკოვისმა 40 მ., თედორაძემ 200 მ., საბავშო წარმოდგ. 900 მ., ვარდოიანცმა 200 მ., კალატოზიშვილი 500 მ., ანკვალოვა 100 მ., შტიმბაბერვა 1000 მ., აინანდერმა 100 მ., ქირებაშვილი 500 მ., თულაშვილი 500 მან., ბაუნგარდმა 500 მ., ს. კარაურვანის გადმოხვეწილი ბერძენმა 427 მ., კონტრატინმა 50 მ., ბაშალოვა 100 მან., ს. ჯაბიშვილი 500 მ., გ. ი. კირებაშვილი 1000 მ., ბახ. დ. ელისაშვილი და ვერმიშვილი 2500 მ., მ. ჰ. ბახჩოიანცმა 1000 მ., გ. ე. ბაგრატიონ-მუნრანსკიმ 5000 მან., აკაკის სახელ, ტფილ. პირვ. დაწ. სასწავლ. 520 მ., ელ. მიფარიშვილი 100 მ., გ. კუსტუმბიშვილი 20 მან., ი. გობრონიძემ 50 მ., შევარდნაძემ და ქორდანიამ სურათების გაყიდვით 240 მ., საქ. სარანსკ. საზოგ. (ქუთ. განყოფ.) 5558 მ., აშხან. თამბაქოს ქარხნ. „სლონის“ მოსამსახ. 2000 მ., ა. კოჩუამ 500 მ., ნაძალად. თეატრის წარმოდგ. 12521 მ. 50 კ., ვერის მუშათა კლუბ. 1600 მან., ხაშურის ფრონტის დახმარე კომიტეტმა 35337 მან., კრუშკებთა „გოლუბოი მელანხოლი“ 3600 მ., სოფ. ცემის მცხოვრებმა 627 მან., ბათომის ვაჭართა კომიტეტმა ერთი მილ. მან. ამ თანხიდან ნახევარი მილ. მან. გადაეცა ტფილ მუსიკალურ საზოგადოებას.
 ნაძალადევის მცხოვრებთა მერძევე პირუტყვის მეპატრონეთა კავშირი „თავისუფლება“ საბჭოსაგან—25 ფუთი რძე. ერობათა კავშირის კომიტეტისაგან—თამბაქო „ქიზიცი“—12 ფუთი. მ. უშაროვისაგან მოგროვილი—მარილი 2 ფ. 20 გ.
 ვაჭრობა-მრეწველობის პალატისაგან—თხილი 8 ტომარა, სარეცხი საპონი 8 ფუთი, პაპიროსი 60,000 კოლოფი, პაპიროსის ქალაქი 4,000 წიგნაკი, საპონი ხელის 58 ცალი, კონვერტები 1.100 ც., ფოსტის ქალაქი—10 შეკვ., ფანქარი 48 ცალი, ჩაი 1 1/2 გირ., კალმები 29 ცალი, ნესისეკრი 602 ცალი, შველოკი 10 პაჩ., ხელსახოცი 40 დიუქ., ძაფი 42 დიუქ., პაპიროსი 50 კოლოფი, ქუდი 3 ცალი, კალმის ტარი 17 ც., მელანი 15 დიდი ბოლი, მელანი 35. პატა-

რა შუშა, ღვინო 60 ბოთლი, ლიმონადი (სიტრო) 72 ბოთლი, პარკები ცარიელი 807 ცალი, თხილი 2 ტომარა სავარცხელი 8 ც.

კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პრაფ. კავ. საბჭ. პარკები საჩუქარ 100 ც. კახეთის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა შორის შეგროვილი: პარკები საჩუქრებით: 6 ცალი, კონსერვები 11 ცალი, თამბაქო 2 გ., ასანთი 22 კოლოფი, ასანთი 110 კოლოფი, ფანქარი 36 ცალი, მომასივი 3 პარკი (6 გ.) ზელის საპონი 24 ცალი, ფოსტის ქაღალდი 3 შეკვრა, კონვერტები 6 შეკ., თხილი 6 გ., ლედვის ჩირი 3 ასხმა, ძაფი 10 კოკა, ნემსი 6 დოჟი, ჩაი 1/3 გირ., სარეცხი საპონი 4 გირ.

ამხ. „ტოლ“ სარეცხი საპონი 12 ფუთი. ძმ-ნი კარდინსკები („ჟირომის“) საპონი სარეცხი 8 ფუთი.

შალხაზიანი საპონი 2 ფუთი. ფინეთის მისსია—ასანთი 500 კოლოფი. არუთინოვი—საპონი სარეცხი 6 ფუთი. ბასიანცევი—საპონი სარეცხი 3 ფ. 20 გ. ოშაკმაშვილი—ღვინო 20 ბოთლი.

IV რაიონის ქალთა სოც. დემ. ორგანიზ. პარკები საჩუქ. 9 ცალი, პაპიროსი 600 ცალი, ასანთი 10 კოლოფი.

ახალციხის ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან პარკები საჩუქ. 182 ცალი.

ა. ხოშტარისაგან—ხელის საპონი 240 ც. სამტრედიის ფრონტის დამხმარე კომიტეტ. პარკები საჩუქ. 226 ცალი, ფოსტის ქაღალდი 16 ექვსეული, კონვერტები 15 ცალი, შაში 1 ცალი, თამბაქო 1/2 გირ., პაპიროსის ქაღალდი 150 წიგ., ქუდი 3 ცალი, ასანთი 155 კოლ.

ხოშტარის საპნის ქარხნისაგან 240 ნაქეჩი საპონი.

აქციონერული საზ. „ჟირომის“-იდან 8 ფუთი საპონი.

ერობათა კავშირისაგან—თამბაქო „ქიზი-ჟი“ 12 ფუთი.

წიგნების გამომცემ. ალ. არაბიძის და ამხ.-გან 4,218 მ. წიგნები.

ახალციხის ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან 182 ცალი პარკი საჩუქრებით.

ბაისუბნის ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან—2 ფუთი 38 გირ. საჩუქრები.

ფოთის ქალთა გიმნაზიისაგან 162 პარკი საჩუქრებით.

პროვინცია

ხარაგაული

შესდგა ფრონტის დამხმარე ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც დაარსა სოფლად ქვე-კომისიები და დაავალა სურსათ-სანოვარის და ფულის შეგროვება; როგორც სოფლებში ისე ხარაგაულის ბაზრებში აღტაცებით შე-ზდენ ამ კეთილ განზრახვას და ვისაც რა შეეძლო დაუზარებლად წირავდა. კომიტეტს მოუვიდა შემოწირულობა შემდეგ სოფლები-დან: ლეღვიდან: პაპიროსი 23 კოლოფი, წუმწუში 2, ყველი 13 წველა, კვერცი 55, თუთუნის 1/2 გირ., თხილი 1 1/2 გრ. ფულად 438 მან. ხორითიდან: ფულად 525 მან.; ბა-ზალეთიდან: ყველი 14 წველა, კვერცი 56, ნიგოზი 52 კაკალი, ფულად 108 მან.; სარ-გვეშიდან: კვერცი 67, ყველი 7 წველა, ფუ-ლად 155 მ.; თეთარწყაროდან: კვერცი 24 ცალი, თუთუნის 1/2 გირ., ფულად 931 მან. ღარბიდან: ყველი 10 წვე., თუთუნის 1/2 გირ. საპონი (სარეცხი) 1 1/2 გირ., კვერცი 32, ლობიო 4 1/2 გირ., ფულად 387 მ., სხლითი-თიდან: კვერცი 53, ყველი 11 წვე. ფულად 472 მ., ს. ფარცხნალიდან: კვერცი 72. თუ-თუნის 1/2 გირ., ყველი 5 წველა, პაპიროსის ქაღალდი 3. ხარაგაულის ბაზრებში შე-მოსწირეს: წუმწუში 35, თუთუნის 6 პარკა (თითო 1/2 გირ.) პაპიროსი 8 კოლოფი (თი-თო 25 ცალი), პაპიროსის ქაღალდი 22, სა-პონი (პირის საბანი) 5, სარეცხი 1 გირგ. ძაფი 4 კოკა, ნასკი 12 წველი, ფანქარი 2, ფოსტის ქაღალდი 43 თაბახი, კონვერტი 25, ჩაი 1/2 გირგ. თუთუნის (გახსნილი) 1/2 გირგ. ფულად (ყულაბებში) 2538 მან., კერძო შე-მოწირულება 1706 მან., წარმოდგენის წმი-ნდა შემოსავლიდან და აუქციონიდან 2027 მ. ამას გარდა სოფ. ფარცხნალიდან შემოვიდა შემოწირულება ფულად 187 მ. ცოტა თხილი და ნიგოზი. ამ რიგით ფულად შემოწირუ-

ლება იყო 9474 მან. ხარჯები კი შემოწირუ-ლების გადასახადი 966 მან. და წვრილმანი 114 მან., სულ 1080 მ.; წმინდათ დარჩენილი 8394 მან., სურსათ სანოვარისაგან ერთად, გაგზავნილ იქნა თბილისის მთავარ კომიტე-ტის სახელზე. რომლის დასამტკიცებელი სა-ბუთები ამ ქამათ ხელთ აქვს კომიტეტის ხა-ზინიდან პ. ზედგინძეს.

მონდობილობით დამხმარე კომიტეტის თა-ვმჯდომარე სანდრო ბოკორიშვილი.

ზ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი, კონსტ-ანტინე ალექსის ძე ქელიძის სახელზე, მიღე-ბული სოფ. ბაქს (რაქა) წმ. გიორგის ეკ-ლესიის მღვდლისაგან 1919 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1938 3—1

დაიკარგა მოწმობა № 5456 მოცემული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საექიმო ფაკულტეტის მეორე სემესტრის სტუ-დენტის დავით ვლადიმერის ძე კაპანაძის სა-ხელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1924 3—1

დაიკარგა პასპორტი ისაკ ზაქარაის ძე მირვე-ლოვის სახელზე, მიღებული თელავის ქალა-ქის თვითმართველობიდან. და ვაჭრობის ნებართვა, მიღებული იქიდანვე. გაუქმებულ-ად ჩაითვალოს. 1922 3—1

დაიკარგა ივანე სოფრომის ძე ტყეშელა-შვილის მიერ დგმური ინჟინერი გრიგოლ გიორგის ძე გვეგეკორისადმი მიცემული ხელ-წერილები, ბინის ქირის გადახდის შესახებ. 1918 წ. მაისიდან 1920 წ. მაისამდე. შოვ-ნელს ვთხოვთ წარმოადგინოს გულდავიჩის ქუჩა № 5. 1927 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუ-სხა ნიკოლოზ სარდიონის ძე მესხის სახე-ლზე, მიღებული მე-7 დე ბათალიონიდან ქ-ტფილისში 1919 წ. გაუქმებულია ჩაითვა-ლოს.

დაიკარგა უვადო პასპორტი № 152 აგრე-ფინა ვლადიმერის ასული სერგეენკოს სახელ-ზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრი-ცების უფროსისგან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1932 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 62 აბრამ გიორგის ძე შარმაღინოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფრო-სისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1933 3-1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე ლეონი-დის ასული ევდაკიმოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1935 3-1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან განთა-ვისუფლების მოწმობა, მიღებული პეტროგ-რადის საავადმყოფოდან და პირადობის მოწ-მობა ომში დაჭრილ დასახიჩრებულ კავშირის გამგებობიდან მიღებული დავით სერაპინს ძე მალრადის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 1937 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 ივანობისთვის 1920 წ. დამტკიცდა შესრულებული 20 თე-ბერვალს 2820 წელს გულდაუთის ნოტარიუს-ის მგალობლიშვილის მიერ ნასყიდობის სი-გელი, რომლითაც ქ. გულდაუთის მცხოვრ. პოლოს პეტრეს ძემ შამილიანმა მიჰყიდა 4000 მან. უფლებდა ფრანც სტეფანეს ძე ბერ-რდიკიანის 1/2 მიწის ნაჭერზე შენობებით-ურთ, მდებარე ქ. გულდაუთში, ზომით 281,25 ოთხკთხ. საფ. გადახდილია

სიმტკიცის გადახდილია 160 მ. 48 კ. მთავარი ამონაწერი 40 მან. ღებობს ქა-ლილზე მიცემულია 733 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამარ-თლოში შემოიტანა ოლთა გიორგის ასულმა კლემენტისაგან თხოვნა თავის ქმრის ვიკენტი კარლის ძის კლემენტისგან, რომელმაც დაიწერა გჯორა 1908 წელსა და ითხოვს გა-ნქორწინებას ვიკენტი კარლოს ძის კლემენ-ტისაგან მის უკვალოდ დაკარგვის გამო, რომელიც დაიწყო 1910 წელს, ამიტომ სა-ქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით ყველა ვალდებულია აცნობოს სამი-ტროპოლიტო სასამართლოს მისი მისამართი ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამ გან-ცხადების დაბეჭდვისა. 1816 1—1

ახალციხის მომრიგებელი მოსამართლე იწ-ვევს 19 ოქტომბერს 1916 წელს გარდაც-ვლილ პავლე კარაპეტის ძე მეგბროვის და 30 ივლისს 1920 წ. გარდაცვლის ანა მეგბროვის მემკვიდრებს, რათა მათ განაცხადონ თავი-ანთი უფლება პავლე მეგბროვის ქონებაზედ სამ. კან. კრებულის მე 1241 მუხ. ძალით აღრიწმულ ვადაში. 778 1—1

1920 წელს 5 აპრილს სოხუმის ოლქის სა-სამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ და-ამტკიცა შესრულებულია შედგენილი 1919 წელს 18 ენკენისთვის ნოტარიუსული ანდე-რძი გარდაცვალებულის 1920 წელს 27 თე-ბერვალს მარამ აკოფის ასული კარაკიანც-ის, მცხოვრ. ქ. გავრის. 777 1—1

ქ. ფოთის უმცროსი ნოტარიუსი ი. ი. ვესტვალსკი, თანახმა ტფილისის სასამარ-თლო პალატის დადგენილებისა ამა წლის 30 ივნისიდან, დათხოვნილია სამსახურიდან პირველი იმავე ივნისიდან, როგორც არა ქვეშემდრომი საქართველოს რესპუბლიკისა და არამცოდნე სახელმწიფო ენისი. ამისთვის მის სამსახურიდან დათხოვნის გამო, სასა-მართლო, თანახმად ნოტარიუს. ნაწ. დებ. მე 13 მუხ., ამით აცხადებს, რომ იმ პირო-ვის წინაშეც ვესტვალსკი მის მიერ წარ-მოდგენილ სანოტარიუსო საწინდრიდან ფუ-ლით ვალდებულია, უნდა შემოიტანონ ოლ-ქის სასამართლოს სახელზე განცხადება ექვსი თვის განმავლობაში დღიდან ამა გან-ცხადების დაბეჭდვისა. 776 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 7 ქვიანობისთვის 1920 წ. ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუ-სხაში 25 ნაწილში, № 1144, მე-4 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული სოხუმის ნოტა-რიუსის მგალობლიშვილის მიერ 3 ივანობის-თვის 1920 წელს სიმტკიცის მოწმობა № 8, რომ ქ. სოხუმის მცხოვრ. მელანია ალექსან-დრეს ასულმა ანჩაბაძემ შეიძინა მიწის ნაჭე-რი ქ. სოხუმში მდინარე ბესლეტკაზე და ვე-ნეციანის გზატკეცილზე, ზომით 997 ოთხკ. საფენი ფასი 14000 მანეთი. 774 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს; რომ 18 მაისს 1920 წ. სოხუმის ოლქის სიმტკიცის საქმეთა ნუ-სხაში 49 ნაწილში, № 2077, 198 გვ. აღნიშ-ნულია აღმასრულებელი ფურცელი გულდა-უთის სამომრიგებლო უბნის მომრიგებელ მო-სამართლის 7 ივლისის 1919 წ. № 661, რომ მლოთაც დარია თომას ასულმა ჩალიგავამ შე-იძინა უძრავი მამული, კუთვნილი ისილორე ურიდიასი, მდებარე ქ. გულდაუთში, პოკროვ-სკის ქუჩაზე, უბ. 8, № 3, რომელიც შეად-გენს მიწის ნაჭერს შენობებითურთ, ზომით 600 ოთხკ. საფ. 775 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4699 რტემ კარაპეტის ძე აივაზიანცის სახელზე, მიღებული სოხუმის კონსულისაგან ტფილის-ში და შევანაოეთა პროფესიონალურ კავში-რის წევრობის წიგნაკი. გაუქმებულია ჩაი-თვალოს. 1913 3—2

ქაპასიის ივანობის და მესპორტის სააქციო საზოგადოების

გამგეობა ამით აუწყებუ ბ. ბ. აქციონერებს, რომ თანახმად ფინანსთა მინისტრის ნებართ-ვისა 1919 წ. ნოემბრის 24-დან № 8502 და ვადის გადადების და დამატებით ნებართვის მიმდინარე წლის ივლისის 6-დან № 1450—საზოგადოების აქციონერთა მიმდინარე წლის 18 ივლისის საერთო კრების დადგენილებით მიიღება ხელის მოწერა

პირთი მილიონის ღირებულების 10000 გეოთხა გამოსაქმის აქციებზე

შემდეგის პირობებით: 1. პირველი სამი გამოცემათა შესაკუთრე თვითველ აქციონერს მიე-ცემა ერთი ახალი აქცია ან და განაწილებული იქნება პროპორციონალურათ იმის და მი-ხედვით თუ ვის რამდენი აქცია აქვს, ე. ი. ერთი ახალი აქცია ყოველ სამ ძველ აქციასზე; 2. ახალი აქცია ეღირება 110 მანეთი, რომლიდანაც 10 მანეთი გადირიცხება სათადარი-გო თანხათ. 3. თუ ერთი თვის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა პირ-ველი სამი აქციითა მფლობელნი არ გადაიხდიან ფულს და არ წაიღებენ მათდამი კუთვ-ნილ ახალ აქციას, ანდა თავიანთ უფლებებს არ გადასცემენ მესამე პირებს, დარჩენილი აქციები, თანახმად გამგეობის დადგენილებისა, გაიყიდება გარეშე პირებზე იმავე ფასში, მხოლოდ საზოგადოების დაარსების და მისი ქონებაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად, გადახდებთ ზედმეტი თითოეულ აქციასზე 15 მანეთი, რომელიც შეადგენს განსაკუთრებულ საწარმოო თანხას და დიხარჯება აქციონერთა საერთო კრების დადგენილებით. 4. აქცი-ების ღირებულება მიიღება საზოგადოების კანტორის სალაროში, განვივის ქ. № 3, ყოველ-დღე 9 ს. 2 საათამდე. 1934 1—1

მიწად-მოქმედების სამინისტროს საი-ჯარო განყოფილება

ამით აცხადებს დაინტერესებულ პირთა საყურადღებოდ, რომ რაქის მაზრაში მდებარე ყო-ფილ მესაკუთრეების საძოვრების მიმღები კომისია შეუდგება მუშაობას ამა წლის 25 ივ-ლისიდან 781 1—1

დაიკარგა ტფილისის მილიციის უფროსის სამმართველოს მიერ გაცემული პასპორტი ესტატე იოსების ძე მარცვალიძის სახელზე, გაუქმებულია ჩაითვალოს. 1863 3—3

დაიკარგა პასპორტი ვალენტინ ფორფი-რეს ძე ბელაიასკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმე-ბულია ჩაითვალოს. 1850 3—3

დაიკარგა მოწმობა № მ. ს. მახარაძის სა-ხელზე, რომ მისი სარჩენი არიან მისი მამა, მოსამსახურე და ობოლი ძმისწული, მიღებუ-თემის საზოგადოებიდან 1919 წ. გაუქმებუ-ლათ ჩაითვალოს. 1870 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფ-ლების მოწმობა № 1079, მიღებული ქუთაი-სის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსის-გან გიორგი ფილიპეს ძე მელიაზის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1872 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი გაცემული ტფილისის პოლიციის უფროსის სამმართველო-დან. 1902 წ. № 216 დაზა-ისაკის მოსეს ძე ველერის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1862 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი გრიგოლო-ვის ტუბიკში № 6 მდებარე სახლის, რომე-ლიც ეკუთვნის ფირალოვის. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1919 3—2

დაიკარგა პასპორტი № 601 აშერ ჯანა-შვილის სახელზე, მიღებული ტფილისის მი-ლიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 1914 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1876 ანასტასია მაქსიმეს ასული პადგორიას სახელზე, მიღე-ბული ნოვოროსიისკში. გაუქმებულია ჩაი-თვალოს. 1917 3—2

ცხადდება, რომ ტფილისის ოლქ. სასამ. 1919 წ. სექტემბრის 13-ს დადგენილებით იმ საზოგადოებათა და კავშირთა ნუსხაში, რომელთაც მოგება არ აქვთ მიზნათ დასახული, შეტანილია ქ. ტფილისის შემოსის დასჯობის პატრონთა კავშირი. 0444 2—2

დაიკარგა ჯარის კაცთა გამწვევ უბანზე მიწერილობის ბარათი № 3301 იოსებ ისა-კის ძე ბანდალიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან, გაუქმებულია ჩაითვალოს. 1893 3—3

დაიკარგა მოწმობის პირი ქალაქ ტფილი-სის ჯარში გასაწვევ ნაწილის მიწერილობა-ზე № 1168, რომელიც მიეცა ტფილისის ვაჟთა მე-6 სე გიმნაზიის დირექტორისაგან ირაკლი ფურცელაძეს, გაუქმებულია ჩაითვა-ლოს. (უფ.) 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი № 4073 პლე-ხანოვის ქუჩაზე № 130 მდებარე სახლის, ეკუთვნის კონსტანტინე ეჯუბიანს. გაუქმებუ-ლათ ჩაითვალოს. 1903 3—2